

შპს „ბემონი“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ბემონი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
	ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59771	15390	12573	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	147109	114081	314187	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7186935	7195452	36893	3.2
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება	3464631	3639211	3789705	3.3
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8297		5662703	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	407	447	487	
ძირითადი საშუალებები	182252	193263	204418	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		40695	77500	
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11049402	11198539	10098466	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	251333	263160	255153	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	25	131	127	
საგადასახადო ვალდებულებები		8250	11320	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	87758	57987	58936	3.5
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			8714	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	62381	98786	93334	3.6
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	401497	428314	427584	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	10647905	10770225	9670882	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	10647905	10770225	9670882	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11049402	11198539	10098466	
სულ მოკლევადიანი აქტივები	7402112	7324923	6026356	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	339116	329528	334250	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.				
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე			
_____	დ. მიმინოშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ბემონი"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2021	2020	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	1125458	672765	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	935458	672765	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები	190000		
გაყიდვების თვითღირებულება	-21545		
საერთო მოგება	1103913	672765	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-64976	-94378	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-188964	-188409	
საპროცენტო შემოსავალი	1123	717323	
საპროცენტო ხარჯი		-5452	
იჯარის ხარჯი		-230	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-52550	-377718	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-305367	51136	
საოპერაციო მოგება	798546	723901	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-5592	808353	
მიღებული დივიდენდები		30997	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	7532	15373	3.9
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	800486	1578624	
მოგების გადასახადის ხარჯი	-12025	-6281	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	788461	1572343	3.10
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	788461	1572343	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10770225	9670882	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-917953	-473000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	7172		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10647905	10770225	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.			
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე		
_____	დ. მიმინოშვილი		
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ზემონი"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	745955	418673
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	206941	42079
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-908460	-458064
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	44436	2688
სავალუტო კურსის ეფექტი	-55	129
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	15390	12573
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	59771	15390
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.		
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე	
_____	დ. მიმინოშვილი	
თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ბემონი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 1996 წლის 28 მარტს საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერია 5ა/4-201, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211322656, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 37-39, საოფისე ფართი N 602. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 მარტს.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) - 71% წილის მფლობელი; დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) - 29% წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547); დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. არასაცხოვრებელი შენობები, რომლებიც ქირავდება ან გაკუთვნილია გასაქირავებლად, მდებარეობს თბილისში, ფოთში და რუსთავში.

1.4. კომპანიას 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჰყავდა მეკავშირე საწარმო - შპს „კობი-2009“ (ს/კოდი 205268985), რომლის კაპიტალში ეკუთვნოდა 50%. ეს წილი გაყიდულ იქნა 2021 წელს.

1.5. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 10 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტორი ფირმა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოა, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთათვისაც შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	6	
ლარი საბანკო ანგარიშებზე	59757	15385
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	5	5
ევრო საბანკო ანგარიშებზე	3	
სულ:	59771	15390

3.2. გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	614	495
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	0	11
გადახდილი სასამართლო ბაჟი	0	8622
ზედმეტობა საპენსიო სააგენტოსთან	0	2
გაცემული სესხი (იურიდიულ პირზე)	7186321	7186322
სულ:	7186935	7195452

3.3. საინვესტიციო ქონება - მიწა:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიწა არასასოფლო სამეურნეო 62.01.54.002	484	484
მიწა არასასოფლო სამეურნეო 01.15.03.010.135	457951	457951
მიწა არასასოფლო სამეურნეო 23.07.01.380	2799	2799
მიწა არასასოფლო სამეურნეო 02.05.06.216	9000	9000
მიწა არასასოფლო სამეურნეო 04.02.10.001	122476	122476
სულ:	592710	592710

გარდა ამისა, მიწა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკადასტრო კოდით 02.01.05.020 არის 25-წლიანი იჯარით აღებული.

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	დარიცხული ცვეთა 2021 წელი	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობა (ადმ. ნაწილის გარეშე)	2258289	3133	141964	2397120
სხვა შენობა- ნაგებობები	613632	0	35749	649381
სულ:	2871921	3133	177713	3046501

სულ საინვესტიციო ქონება:

31.12.2021 წ. მდგომარეობით - **3464631** ლარი.

31.12.2020 წ. მდგომარეობით - **3639211** ლარი.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
შენიშნული ადმინისტრაციული ნაწილი	169522	199	8663	177986
არაექსპლუატირებუ ლი მოძრავი ქონება (რეზერვუარები)	6572	0	0	6572
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	1351	0	491	1842
ოფისის აღჭურვილობა	875	0	596	1471
ავეჯი	3932	0	1460	5392
სხვა ძირითადი საშუალებები	0	0	0	0
სულ:	182252	199	11210	193263

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა 2021 წლის ბოლოს შეადგენდა: 1781166 ლარს.

3.5. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

ამ მუხლში ასახულია დამკვეთებისაგან მიღებული ავანსები და ზედმეტად გადახდილი თანხები.

3.6. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ფიზიკურ პირისგან მიღებული გრძელვადიანი სესხის ძირი	11774	48179
ფიზიკურ პირისგან მიღებულ გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	50607	50607
სულ:	62381	98786

3.7. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2021 წელი	2020 წელი
საიჯარო შემოსავლები და თამბლები მომსახურება	935458	672765
მეკავშირე საწარმოში წილის გაყიდვა	190000	
სულ:	1125458	672765

მეკავშირე საწარმოს - შპს „კობი-2009“-ის (ს/ნ 205268985) წილის გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი ჩართულია ამონაგებში იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ

კომპანია ამ მეკავშირე საწარმოდან წლების განმავლობაში რეგულარულად იღებდა დივიდენდებს.

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2021 წელი	2020 წელი
მარკეტინგული და საშუამავლო მომსახურება	-950	-15757
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-4576	-35460
ქონებისა და მიწის გადასახადები	-27315	-35926
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება		-262301
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-4817	-18146
ელ.ენერგიის და კომუნალური დასუფთავების ხარჯი	-10261	-4967
საკომუნიკაციო ხარჯები	-3380	-3966
საბანკო ხარჯები	-946	-771
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-305	-519
სულ:	-52550	-377813

3.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
გაუქმებული კრედიტორული დავალიანება	1778	10097
მიღებული პირგასამტეხლოები	1587	
პანდემიის გამო დაწესებული საგადასახადო შეღავათი	4259	5610
საურავები	-99	-339
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალი/ხარჯი	7	5
სულ:	7532	15373

3.10. საკუთარი კაპიტალის მუხლები:

2017-2021 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა. კომპანიის მიერ 2020 და 2021 წლებში გაცემული დივიდენდები (შესაბამისად, 473000 და 917952,63 ლარი) განაწილებულია 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან. შესაბამისი წლების ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის (ან უფრო ადრინდელი პერიოდის) დაგროვილი მოგებიდან დივიდენდების გაცემის გამო და გაანგარიშდება ითვლება სსკ 309-ე მუხლში მოცემული სპეციალური ფორმულით, დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2021 წლის ბოლოს, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგებოდა გაუნაწილებელი მოგებისგან.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება:

	31.12.2021	31.12.2020
სასესხო ვალდებულება (ძირი + პროცენტი)	62381	98786
სულ:	62381	98786

საპროცენტო ხარჯი დამფუძნებლისაგან/დირექტორისაგან აღებული სესხიდან:

	2021 წელი	2020
საპროცენტო ხარჯი	0	5452
სულ:	0	5452

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელს და 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია საიჯარო შემოსავლების შემცირება, მაგრამ ამის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 29 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59771	15390	12573	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	147109	114081	314187	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7186935	7195452	36893	3.2
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება	3464631	3639211	3789705	3.3
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8297		5662703	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	407	447	487	
ძირითადი საშუალებები	182252	193263	204418	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		40695	77500	
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11049402	11198539	10098466	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	251333	263160	255153	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	25	131	127	
საგადასახადო ვალდებულებები		8250	11320	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	87758	57987	58936	3.5
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			8714	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	62381	98786	93334	3.6
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	401497	428314	427584	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	10647905	10770225	9670882	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	10647905	10770225	9670882	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11049402	11198539	10098466	
სულ მოკლევადიანი აქტივები	7402112	7324923	6026356	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	339116	329528	334250	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაკვეთიდან 29.09.2022 წ.

დირექტორები: _____ ზ. იაკობიძე

_____ დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	1125458	672765	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	935458	672765	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები	190000		
გაყიდვების თვითღირებულება	-21545		
საერთო მოგება	1103913	672765	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.8
დასაქმებულთა ანაზღაურება	-64976	-94378	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-188964	-188409	
საპროცენტო შემოსავალი	1123	717323	
საპროცენტო ხარჯი		-5452	
იჯარის ხარჯი		-230	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-52550	-377718	
სულ საოპერაციო ხარჯები	-305367	51136	
საოპერაციო მოგება	798546	723901	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.9
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-5592	808353	3.9
მიღებული დივიდენდები		30997	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	7532	15373	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	800486	1578624	3.10
მოგების გადასახადის ხარჯი	-12025	-6281	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	788461	1572343	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	788461	1572343	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10770225	9670882	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-917953	-473000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	7172		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10647905	10770225	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორები: _____

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ბემონი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	745955	418673
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	206941	42079
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-908460	-458064
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	44436	2688
სავალუტო კურსის ეფექტი	-55	129
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	15390	12573
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	59771	15390

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორები: _____

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.